სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 52

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ შპს „პრინტ ოფისი" – დირექტორის გიორგი თაქთაქიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს [1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების საქონლის შესყიდვა

N	დასახელება	cpv	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	ბრენდირებული საათი	39254100	30	22.70	681
2	საქართველოს დროშა	35821000	20	21.40	428
3	სააგენტოს დროშა	35821000	20	21.40	428
4	საქაღალდე	22800000	300	2.16	648
5	საქაღალდე	22800000	300	2.16	648
6	ბლოკნოტი	22816100	100	7.82	782
7	ქაღალდის ჩანთა	18900000	500	3.57	1785
	სულ				5400

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5400** (ხუთი ათას ოთხასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს."

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად არაუგვიანეს მიმდინარე წლის 26 დეკემბრისა. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ლეონიძის ქ 3/5

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება–ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს სასაქონლო ზედნადებს.

5. ანგარიშსწორება

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების"აქტი და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები.

5.3.„მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების"აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4. „მიღება–ჩაბარების“აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა ვალდებულებები
6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
6.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი დადგენილ ვადაში;
6.1.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
6.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.1.4. შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული ან დეფექტური საქონლის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.
6.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.2. „შემსყიდველი” ვალდებულია:
6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 5.4. პუნქტების გათვალისწინებით.
6.2.2. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები
8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.2.1აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობისა და შესაბამისობის კონტროლი;
7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე;

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და „მიმწოდებლისათვის“ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
8.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
13.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ინსპექტირების პირობები
14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ლოჯისტიკის მენეჯერი მამუკა ბუხნიკაშვილი.
14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017წლის 30 იანვრის ჩათვლით.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
17. დასკვნითი დებულებები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

"შემსყიდველი ორგანიზაცია"	"მიმწოდებელი"
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7 სახელმწიფო ხაზინა ს/კ 205311232	შპს „პრინტ ოფისი' ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ N 43 სს ბანკი ქართუ საქართველო CRTUGE22 ა/ა GE96CR0120007001743602 ს/კ 404429506
სააგენტოს თავმჯდომარე	დირექტორი
/ზ. ვაშაყმაძე/	/გ. თაქთაქიშვილი/